ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №487

ქ. თბილისი 5 ნოემბერი 2019 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (SMP190004124) ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2, შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ავერსი-ფარმას“ (მდებარე ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზირი №148, შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს ფარმაცევტული პროდუქტების (კლასიფიკატორის კოდი 33600000) მიწოდებას ხელშეკრულებაზე თანდართული ჩამონათვალის, რაოდენობისა და ფასების მიხედვით (ფასების ცხრილი), „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1386.94 (ერთი ათას სამას ოთხმოცდაექვსი ლარი და 94 თეთრი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) დღგ-ს ჩათვლით;

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ყველა ხარჯს.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

3.1 „მიმწოდებელმა“ საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს 2019 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით, „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭორწხის ქ.№6-ში. საქონლის ტრანსპორტირებას „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით;

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას;

3.3 მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 1 წელი მიწოდების მომენტიდან, გარდა იმ პროდუქციისა, რომლებსაც, თავისებურებებიდან გამომდინარე, აქვს 1 წელზე ნაკლები ვარგისიანობის ვადა;

3.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც 3.1 პუნქტში მითითებულ მისამართზე საქონლის მიწოდებისას „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები და „მიმწოდებლის“ წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის „მიმწოდებელს“, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან დაზიანებაზე. აღნიშნულ დოკუმენტზე ხელის მოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე;

3.5 „მიმწოდებელმა“ საქონელთან ერთად „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები - სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

4.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლისა და შესაბამისი დუკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. გარანტია

5.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი შეესაბამება „შემსყიდველის“ მოთხოვნებს;

5.2 „მიმწოდებელმა“ შეტყობინების მიღებისთანავე უნდა განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მიწოდების ვადების შემოწმების გზით;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა.;

6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენლები:

6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენლები:

1) სამედიცინო მთავარი სამმართველოს უფროსი – კახა მიქაძე;

2) ეკონომიკური დეპარტამენტის, სამეურნეო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – ზურაბ მაისურაძე.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

7.1.1 მოთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

7.3.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ

ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება;

11.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

11.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები;

11.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებით შესრულებული ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

11.6 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

11.7 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

11.8 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.9 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 5 ნოემბრიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით;

14.2 მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“

საქართველოს სახელმწიფო
დაცვის სპეციალური სამსახური

ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2
ჭოროხის ქ.№6

სახელმწიფო ხაზინა
სახელმწიფო დაცვის სპეციალური
სამსახურისათვის – 4001
ა/ა №GE24NB0330100200165022
კოდი TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი 203840344

„შემსყიდველის“ სახელით:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის ეკონომიკური
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ილია ტარასაშვილი

„მიმწოდებელი“

შპს „ავერსი-ფარმა“

ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის
გამზირი №148
ტელ: 2250066

სს „საქართველოს ბანკი“

ა/ა №GE06BG0000000122932100
კოდი BAGAGE22

საიდენტიფიკაციო კოდი - 211386695

„მიმწოდებლის“ სახელით:

შპს „ავერსი-ფარმა“-ს
კომერციული დირექტორი

ეკატერინე მიქელაძე

Digitally signed by special state protection service of georgia

ფასების ცხრილი

#	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი, ლარი	საერთო ფასი, ლარი	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებელი ქარხანა
1	ტრაუმელ S 50გ კრემი	5	20.15	100.75	გერმანია	ბიოლოგიშ ჰელმიტელ ჰეელი
2	ოტიპაქსი 16მლ ყურის წვეთები	3	6.24	18.72	საფრანგეთი	ბიოკოდექსი
3	ნო-შპა ფორტე 80მგ #24ტ	4	7.67	30.68	უნგრეთი	ხინოინ ფარმ.ქემიკ.ვორკს პრაივ.
4	ტორადოლი 30მგ/1მლ #5ა	2	40.92	81.84	საფრანგეთი	სანექსი სას საფრანგეთი
5	გასაყინი სპრეი 300მლ	25	25.96	649.00	იტალია	DSI
6	პერსკინდოლი კლასიკ გელი 100მლ	6	17.77	106.62	შვეიცარია	ვიფორ ინტ. შვეიცარია
7	ტანტუმ ვერდე 1.5მგ/მლ 30მლ აერ	15	12.00	180.00	იტალია	ანჯელინი
8	ალბუციდი 30% 10მლ #1ფლ	5	1.49	7.45	უკრაინა	ფარმაკი *** უკრაინა
9	მაგენოლი 100მგ #30ტ ხსნადი	8	12.56	100.48	საქართველო	ავერსი-რაციონალი
10	აცც 200მგ #20ტ შუშხუნა	10	11.14	111.40	გერმანია	სალუტას ფარმა
			სულ:	**1386.94**		

შპს „ავერსი-ფარმას“
კომერციული დირექტორი

ეკატერინე მიქელაძე